ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 275

ქ. თბილისი „20" მაისი .2015 წ.

1. **ხელშეკრულების მხარეები**

1.1. ერთის მხრივ, შპს ,,დელტა ინტერნეიშენალ" (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი დირექტორის ოთარ ჩიტეიშვილის სახით და მეორეს მხრივ, ი/მ "დიმიტრი ნოზაძე" (შემდგომში– მიმწოდებელი), წარმოდგენილი დირექტორის დიმიტრი ნოზაძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" კანონქვემდებარე აქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. **ხელშეკრულების ობიექტი და საგანი**

2.1. ხელშეკრულების ობიექტი და საგანია დანართი №1-ით გათვალისწინებული საქონლის (შემდგომში – საქონელი) შესყიდვა.

2.2. ხელშეკრულების დანართი №1 წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. **ხელშეკრულების ჯამური ღირებულება**

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება განისაზღვრება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში და შეადგენს 20,00 (ოცი) ლარს, რომელიც მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადსა და მოსაკრებელს.

4. **მიწოდების ვადები და ადგილი**

4.1. მიმწოდებელი აწვდის შემსყიდველს საქონელს ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) სანუშაო დღე.

4.2. საქონლის მიწოდების ადგილია შემსყიდველის ადგილსამყოფელი.

5. ხელშეკრულების ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია საქონლის მიწოდებისას თან დაურთოს საქონლის თანმხლები დოკუმენტაცია.

5.2. საქონლის გადაცემა დასტურდება მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტითა და სასაქონლო ზედნადებით.

5.3. შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლება მიეცეს შემსყიდველი ორგანიზაციის შესყიდვებისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსს.

5.4. მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერამდე ყველა ქონებრივი უფლება საქონლზე ეკუთვნის მიმწოდებელს, ხოლო ხელმოწერის მომეტიდან აღნიშნული უფლება გადადის შემსყიდველ ორგანიზაციაზე.

5.5. საქონლის გადაცემის დღედ მიიჩნევა მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერის დღე.

6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადა

6.1. მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით საქართველოს ეროვნულ ვალუტაში მხარეების მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

6.2. ანგარიშწორება მოხდება ფაქტიურად მოწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად, ორმხრივად ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის, ამ ხელშეკრულებით და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე 10 სამუშაო დღის ვადაში.

6.3. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს წინასწარი ანგარიშსწორება ხელშეკრულების საერთო ღირებულების 100%-ის ოდენობით (ავანსი), მიმწოდებლის მიერ ამავე ოდენობის თანხაზე საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში;

6.4. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტია უნდა შეესაბამებოდეს შემსყიდველის მოთხოვნებს და მისი მოქმედების ვადა ხელშეკრულების მოქმედების ვადას არანაკლები 30 დღით უნდა აღემატებოდეს;

6.5. საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია 5 საბანკო დღეში მოახდინოს საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის წინასწარი ანგარიშსწორება.

7. მხარეების უფლება-მოვალეობანი

7.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.1.1. შემსყიდველ ორგანიზაციას დათქმულ დროსა და ადგილზე მიაწოდოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი, რომელიც აკმაყოფილებს არსებულ სტანდარტებს.

7.1.2. შემსყიდველი ორგანიზაციისათვის საქონლის გადაცემიდან ერთი კვირის ვადაში ხელშეკრულების დანართი №1-ით გათვალისწინებული საქონლის მხოლოდ ქარხნული ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში შეცვალოს საქონელი მსგავსი დასახელების ტექნიკური პარამეტრების ძირითადი მახასიათებლებისა და საიდენტიფიკაციო მონაცემების შესაბამისი ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონლით, მხარეთა მიერ დამატებით შეთანხმებულ ვადაში. მიმწოდბელს არ ეკირება პასუხისმგებლობა და თავისუფლდება ამ მუხლით დადგენილი ვალდებულებისაგან, თუ

საქონლის ნაკლი/დაზიანება გამოწვეულ იქნება შემსყიდველის მიერ არასწორი მონტაჟის ან სხვა ნებისმიერ ბრალეული ან გაუფრთხილებელი ქმედებისაგან.

7.1.3. მის მიერ საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების (მათ შორის უხარისხოდ, არასრული მოცულობით, საჭირო დოკუმენტაციის გარეშე) შემთხვევაში დაეკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 0,1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2 პროცენტისა.

7.1.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.1.5. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოითხოვოს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების დათქმულ ვადაში ანაზღაურება.

7.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია:

7.2.1. მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში აუნაზღაუროს ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში.

7.2.2. მიმწოდებლისგან მიიღოს საქონელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

7.2.3. ანგარიშსწორების ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს გადაუხადოს პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2 პროცენტისა.

7.3. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია:

7.3.1. მიმწოდებლისგან ითხოვოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონლის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და ადგილზე მიწოდება.

7.3.2. მოითხოვოს ხელშეკრულების 7.1.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

7.4. თითოეული მხარე ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

7.5. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

7.6. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით. შეთანხმების შემთხვევაში გადავადებულ პერიოდზე მხარეს არ დაეკისრება პირგასამტეხლო.

7.7. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.8. თითოეული მხარე ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

7.9. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირებს მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

8. სუბკონტრაქტორები

8.1. მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულების ფარგლებში დასადები ყველა სუბკონტრაქტი უნდა გაფორმდეს წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ სუბკონტრაქტის დადების ან სუბკონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.

8.3. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

8.4. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

9. ფორს-მაჟორული სიტუაციები

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა.

9.2. მხარე, რომლისთვისაც ფორს-მაჟორის გამო შეუძლებელი შეიქმნა ვალდებულების შესრულება, ვალდებულია დაუყოვნებლივ (ფორს-მაჟორის დადგომიდან არა უგვიანეს სამუშაო დღისა) აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შესახებ. შეუტყობინებლობის ან დაგვიანების შემთხვევაში იგი კარგავს უფლებას დაეყრდნოს ფორს-მაჟორის არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველს. შეტყობინებაში მითითებული ფორს-მაჟორის ფაქტი უნდა დადასტურდეს.

9.3. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომელსაც აქვს წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი და არ არის დაკავშირებული შემსყიდველი ორგანიზაციის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან. ფორს-მაჟორი შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით, სტიქიური უბედურებებით და სხვა გარემოებებით.

9.4. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

10. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

10.1. შემსყიდველი ორგანიზაციას უფლება აქვს ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, მათ შორის მომსახურების ხარისხის ინსპექტირება.

10.2. დაევალოს აღნიშნული ხელშეკრულების შესრულების კონტროლი შემსყიდველი ორგანიზაციის შესყიდვებისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსს.

10.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

11. სხვა პირობები

11.1 ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 მაისის ჩათვლით.

11.2

11.3 ჩათვლით.

11.4 მხარეთა შორის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავა წყდება მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხს წყვეტს სასამართლო.

11.5 ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელება დაუშვებელია, თუ იმ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

11.6 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია, მხოლოდ ორივე მხარის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში.

11.7 ორივე მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას. აგრეთვე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში. ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეები წერილობით აცნობებენ ერთმანეთს.

11.8 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველ ორგანიზაციას, ხოლო მეორე ეგზემპლარი – მიმწოდებელს.

მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
შპს ,,დელტა ინტერნეიშენალ" მისამართი: ქ.თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთ რაიონი, მნათობის ქ., #73 საიდენტიფიკაციო კოდი № 401960614 საბანკო რეკვიზიტები: სს ,,თიბისი ბანკი" საბანკო კოდი TBCBGE 22 ანგარიშსწორების ანგარიში № GE78TB7447436040100001	ი/მ "დიმიტრი ნოზაძე" მისამართი:თბილისი.კოსმონანტების სანაპირო N25 ს/კ 54001044005 საბანკო რეკვიზიტები: პროკრედიტ ბანკი: MIBGGE22 ანგარიშსწორების ანგარიში N: GE71PC0223600100012008
დირექტორი	დირექტორი
_____ ოთარ ჩიტეიშვილი	_____ დიმიტრი ნოზაძე
"20" 03 2015 წ.	"20" 03 2015 წ.

2015 წლის 20 მარტი №275 ხელშეკრულების დანართი №1
ხელშეკრულების ობიექტი

N	დასახელება	კლასიფიკატორის კოდები (CPV)	ზომის ერთ.	რაოდენობა	ერთ. ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)
1	ცელოფნის ფირი	19640000	კგ	4	5	20
საერთო ღირებულება 20.00 (ოცი) ლარი						

შემსყიდველი:

შპს ,,დელტა ინტერნეიშენალ"

საიდენტიფიკაციო კოდი № 401960614

დირექტორი

ოთარ ბიტეიშვილი

"20" 03 2015 წ.

მიმწოდებელი:

ი/მ "დიმიტრი ნოზაძე"

საიდენტიფიკაციო კოდი №54001044005

დირექტორი

დიმიტრი ნოზაძე

"20" 03 2015 წ.

მიღება-ჩაბარების
აქტი

ქ. თბილისი

20.03 2015 წ.

ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერნი, ერთი მხრივ, შპს ,,დელტა ინტერნეიშენალ", შემდეგომში – შემსყიდველი და მეორე მხრივ ი/მ "დიმიტრი ნოზაძე" შემდეგომში – მიმწოდებელი ვადასტურებთ, რომ ჩვენ შორის 2015 წლის 20 მარტი. გაფორმებული № 275 ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელმა გადასცა შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი, რომლის ღირებულებამ შეადგინა 20,00 (ოცი) ლარი.

მიიღო
შემსყიდველი:

შპს ,,დელტა ინტერნეიშენალ"

_____

ჯემალ ახალაია

"20" 03 2015 წ.

ჩააბარა
მიმწოდებელი:

ი/მ "დიმიტრი ნოზაძე"

_____

დიმიტრი ნოზაძე

"20" 03. 2015 წ.

1	სასაქონლო ზედნადები #	ელ- 0164448155

2	20/03/2015

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

3	16:47:17

დრო (საათი, წუთი)

(დღგ-ს გადამხდელი)

4	დიმიტრი ნოზაძე	54001044005
	გამყიდველის (გამგზავნის) დასახელება,ან სახელი და გვარი	საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი

(დღგ-ს გადამხდელი)

5	შპს დელტა ინტერნეიშენალ	401960614
	მყიდველის (მიმღების) დასახელება,ან სახელი და გვარი	საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი

6	ოპერაციის შინაარსი	ტრანსპორტირებით

7	ქ.თბილისი,კოსმონავტების სანაპირო,ე.წ.ელიავას ბაზრობის ტერიტორია,სანტექნიკის უბანი #3

ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)

8	ბოგდან ხმელენეცკის 181

ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)

9	საავტომობილო

ტრანსპორტირების სახე

10	ZOZ761

სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი

X

მისაბმელი

11	სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი	01016006549 თეიმურაზ ლომიძე

12	გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი	მყიდველი - 0

თანხა ლარებში

სასაქონლო ზედნადების ცხრილი

#	საქონლის დასახელება	საქონლის კოდი	საქონლის ზომის ერთეული	საქონლის რაოდენობა	საქონლის ერთეულის ფასი*	საქონლის ფასი *
1	ცელოფნის ფირი	164	კგ	4.0000	5.0000	20.0000

13	20 - ოცი ლარი და ნული თეთრი

მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

14	

გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

15	

მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

16	

ხელმოწერა

17	

ხელმოწერა

18	მიწოდებული საქონლის ჩაბარების	20/03/2015	16:48:00
		თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	დრო (საათი, წუთი)

19	

შენიშვნა: * დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭდვის თარიღი 24/03/2015, 17:35:08